

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №10

09 აგვისტო 2016 წელი

ქ. ბათუმი
11⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მყავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ნუგზარ ბაჯელიძე, მამუკა ჯაში, ირაკლი გვარამია და მამუკა კოპალეიშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, მასმედიის წარმომადგენლები და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი რაჟდენ ხიმშიაშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და დღის წესრიგის „სხვადასხვა“-ში შესთავაზა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის საჩივრის შესახებ - („N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“) საკითხის დამატების თაობაზე წინადადება.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

„ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

განკარგულება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის (უსკოში რეგისტრაციის N01-26/84, 08/08/2016წ.) საჩივრის შესახებ. („N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“).

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე შეთავაზებული საკითხის - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის საჩივრის - „N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“ განხილვის შესახებ, გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

„ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. სხვადასხვა.

განკარგულება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის (უსკოში რეგისტრაციის N01-26/84, 08/08/2016 წ.) საჩივრის შესახებ. („N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“).

1. განკარგულება

„ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12

განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და თანდართული დანართი - პარტიული სიის ფორმა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 30 ივნისის №12 განკარგულებით დამტკიცებულ უმაღლესი საბჭოს 2016

წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის პარტიული სია (ფორმა №4-07.01.01) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
(თან ერთვის)

2. განკარგულება.

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და თანდართული დანართები. კერძოდ: საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობების; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მოწმობის; პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობის; საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობის; უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობის; უმაღლესი საბჭოს კანდიდატის მოწმობის და უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის სააღრიცხვო ბარათების ფორმები.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 62-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.01.07);

ბ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი (ფორმა №6-07.01.08);

გ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.01.09);

დ) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.02.10);

ე) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.03.11);

ვ) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა (ფორმა №6-07.01.12);

ზ) უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა (ფორმა №6-07.01.13);

თ) უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის საადრიცხვო ბარათი (ფორმა №4-07.02.02).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 09 ივნისის N5 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 13 ივნისის N7 განკარგულების პირველი პუნქტი.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 13 ივნისის N8 განკარგულების პირველი პუნქტი.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 18 ივლისის N22 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

6. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
(თან ერთვის)

3. სხვადასხვა.

განკარგულება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის (უსკოში რეგისტრაციის N01-26/84, 08/08/2016 წ.) საჩივრის შესახებ. („N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“).

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის (უსკოში რეგისტრაციის N01-26/84, 08/08/2016 წ.) საჩივარი - „N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე“ და აღნიშნა, რომ უსკოში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იქნა საჩივარი მოთხოვნით N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 06 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2016 წლის 01 აგვისტოს განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სამართალდარღვევის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება, რის შემდეგაც უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს სთხოვა შესაბამისი დასკვნის კომისიის წევრებისათვის გაცნობა.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო იურიდიული სამსახურის დასკვნა და აღნიშნა, რომ უსკო არ არის უფლებამოსილი ორგანო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოთხოვნა წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებისა და სანქციის გამოყენების შესახებ, ვინაიდან უსკო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე, რადგანაც საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ცენტრალური

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები). ფრიდონ ბათნიძემ ასევე დამატებით განმარტა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საიას საჩივარი წარდგენილი აქვს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ხსენებულ საკითხზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ცესკომ, ასევე კომისიას განუმარტა, რომ უსკოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად აქტი არარა აქტად იქნება ცნობილი.

აზრი გამოთქვას:

მამუკა ჯაშმა, რამაზ გოლომანიძემ, გუგული დუაძემ, კახაბერ ჯაიანმა, ზურაბ გოლიაძემ, სოფიო კახაძემ, საიას წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა და პარმენ ჯალაღონიამ.

მამუკა ჯაშმა აღნიშნა, რომ უსკო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება საიას საჩივართან დაკავშირებით, იგი ეთანხმება ცესკოს თავმჯდომარის განცხადებას იმის შესახებ, რომ საარჩევნო სუბიექტებმა, შესაბამისმა თანამდებობის პირებმა და საარჩევნო პროცესში ჩართულმა მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების სრულფასოვან განხორციელებას.

რამაზ გოლომანიძემ აღნიშნა, რომ საფუძველს მოკლებული არ არის საიას საჩივარი, იმ მოთხოვნის ნაწილში, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ლეზლობს აგიტაციაში მონაწილეობას, მაგრამ მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება თუ სასამართლო განმარტავს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება საიას განცხადებასთან დაკავშირებით კანონიერია და შესაბამისად მიაჩნია, რომ უსკო არ არის უფლებამოსილი ორგანო მიიღოს სათანადო სანქცია.

კახაბერ ჯაიანი დაეთანხმა გუგული დუაძის მოსაზრებას, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება არის კანონიერი. ასევე აღნიშნა, რომ N79 ბათუმის ოლქის თავმჯდომარეს არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი მიეღო სამართალდარღვევათა შესახებ გადაწყვეტილება.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ საიას საჩივარში მითითებული აქვს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ აკონკრეტებს ელექტრონული კომუნიკაციებით ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ მოცემულ შემთხვევაში სანქციის გატარებას, საიას თვითონვე არ უარყოფს იმას, რომ ამასთან დაკავშირებით უსკო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და მიაჩნია, რომ თუ უსკოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრდება სასამართლოში, სასამართლო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სოფიო კახაძემ აღნიშნა, რომ ვირტუალურ ჩართვებთან დაკავშირებით უსკოს არანაირი მექანიზმი არ გააჩნია გამოიყენოს შესაბამისი სანქცია და თუ უსკოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრდება სასამართლოში, სასამართლო დაუშვებს რაღაც პრეცედენტს რაც მსგავს სიტუაციებში კარგი მაგალითი იქნება სამომავლოდ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება კომისიის მოსაზრებებს როგორც ფაქტობრივ ისე იურიდიულ მსჯელობებში, რომ უსკო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება სანქციის გამოყენების შესახებ. მაშინ როდესაც უსკოში წარმოდგენილია N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ფორმალურ მხარეს როგორც გადაწყვეტილების ასევე აქტის დადგენის კრიტერიუმებს, შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოცემისას დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის ფორმალური მხარე. ასევე მიაჩნია, რომ საიას საჩივარი არის უსკოს განსჯადი საგანი კომპეტენციის ნაწილში, რაც შეეხება ერთი და იგივე საჩივრის წარდგენას ცესკოში და უსკოში, საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა მოსაზრებას, ვინაიდან საჩივარი სხვადასხვა საკითხზეა წარდგენილი. ასევე აღნიშნა, რომ უსკო უფლებამოსილი ორგანოა განიხილოს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება სადაო საკითხზე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულ იურისდიქციის საკითხზე, საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ქვეყნის შიგნით მოქმედ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, ასევე უცხო ქვეყნის პრაქტიკაზე და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის

განხილვისას კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით და პრეცედენტებით, მაგალითად მოიყვანა 2010 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენის თაობაზე (სახალხო დამცველის საჩივარი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა იმ ქვეყნის მოქალაქეზე რომელსაც აქვს ინტერესი საქართველოს კანონმდებლობის ნაწილის გამოყენებაზე და სარგებლობაზე, რის გამოც ეს ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო. ასევე დასძინა რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი არის ორგანული კანონი, რომელიც მალა დგას სამართალდარღვევათა კოდექსზე, ორგანულ კანონში განმარტებას უცხო ქვეყნის მოქალაქესთან მიმართებაში კანონმდებელმა არ ჩათვალა მიზანშეწონილად გაეკეთებინა დათქმა, იმ მარტივი მიზეზის გამო რომ არის აბსოლიტური აკრძალვა და ის ვრცელდება ყველა სუბიექტთან მიმართებაში თანაბრად. რის გამოც მოითხოვა უსკოს დაეშვა პრეცედენტი აღნიშნული სადაო საკითხის გადასაწყვეტად და გადაწყვეტილებით განემარტა სადაო საკითხი.

სხდომის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია დაინტერესდა საჩივრის ავტორის საიას წარმომადგენლის N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოცემულ (წერილს) აქტს ასაჩივრებს ფორმის დაუცველად გამოცემის თვალსაზრისით თუ კანონიერების თვალსაზრისით.

რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტის ფორმალური მხარის დაუცველობა არსებითი არ არის.

სხდომის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა საჩივრის ავტორი თვლის თუ არა უსკოს უფლებამოსილ ორგანოდ გამოიყენოს სანქცია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საარჩევნო აგიტაციაში სავარაუდო მონაწილეობისათვის.

რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ უსკო უფლებამოსილია, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება ვინაიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში არ არის მითითებული სამართალდარღვევათა წესზე და არის მხოლოდ ზოგადი დათქმა 53-ე მუხლში, ამიტომ უსკომ უნდა გამოიყენოს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის დათქმა.

სხდომის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა საჩივრის ავტორს როგორ მიაჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქემ მისი გამოსვლით

მხარდაჭერა გამოუცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს თუ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატებს.

რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს გამოსვლა შეეხებოდა ყველა კონტექსტში მხარდაჭერას კანდიდატებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უსკო არ არის უფლებამოსილი ორგანო იმსჯელოს დაარღვია თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქემ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა, მან აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა მიუთითებს პირდაპირ საარჩევნო კოდექსზე და სამართალდაღვევათა კოდექსზე, რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული საკითხის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო და უფლებამოსილი პირები. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსკომ საიას საჩივარი განუხილველი უნდა დატოვოს, ვინაიდან უსკო არ არის უფლებამოსილი ორგანო მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად, აქტი არარა აქტად იქნება ცნობილი თუ იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

2016 წლის 08 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა მომართა უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვა უცხო ქვეყნის მოქალაქის წინასაარჩევნო აგიტაციაში შესაძლო მონაწილეობის გამო სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების (წერილობითი პასუხი) ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის მოთხოვნა ბათილად იქნეს ცნობილი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება (წერილობითი პასუხი) და დაწყებული იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოება უსკოს მიერ ვერ იქნება განხილული, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის წესების დარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. განუხილველად დარჩეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის საჩივარი №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების (წერილობითი პასუხი) ბათილად ცნობისა და წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების თაობაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე